IDFI

წლიური ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

2024

სარჩევი

შესავალი 4

ღია მმართველობა და კორუფციასთან ბრძოლა 7

კანონის უზენაესობა და მედიის თავისუფლება 19

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა 28

ინტერნეტი და ინოვაციები 32

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები 38

კონსულტაციები 47

IDFI-ის დონორი ორგანიზაციები 49

2024 წელს დაწყებული პროექტები 51

2024 წლის ფინანსური ანგარიში 55

შესავალი

შესავალი

2024 წელს საქართველოში დემოკრატიამ მკვეთრი უკუსვლა განიცადა და წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენები, მათ შორის „რუსული კანონის" ხელახალი ინიცირება და მიღება არსებითად აისახა ორგანიზაციის საქმიანობაზე. IDFI-ს თითქმის თითოეული შინაარსობრივი მიმართულებით მოუწია დაგეგმილი აქტივობების შეცვლა, რაც რამდენიმე შემთხვევაში აქტივობების განხორციელების შეჩერებაში აისახა. მაგალითად, ადგილობრივი მმართველობის მიმართულების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების უდიდესი ნაწილის განხორციელება შეჩერდა. ამავდროულად, IDFI-მ გააძლიერა საქმიანობა მონიტორინგისა და სამართლებრივი დახმარების მიმართულებებით.

წლის განმავლობაში ორგანიზაცია აქვეყნებდა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანგარიშებსა და ანალიტიკურ ნაშრომებს. სახელმწიფო უწყებების საქმიანობის მონიტორინგის შედეგად IDFI საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას გამოვლენილი საკვანძო გამოწვევების შესახებ.

2024 წელს, IDFI აგრძელებდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყოველწლიურ მონიტორინგს და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით აქტიურად მიმართავდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას. ამასთანავე, IDFI სამართლებრივ დახმარებას უწევდა ჟურნალისტებს, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, IDFI-ს მიერ გაწეული ძალისხმევა „რუსული კანონის" წინააღმდეგ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, წარმართულ სტრატეგიულ სამართალწარმოებაში, რამაც მათ შორის მოიცვა სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციების მხარდაჭერა.

2024 წელს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა საზოგადოების ინფორმირება, არსებული კრიზისის მოსალოდნელ გავლენაზე ქვეყნის განვითარებაზე. ასევე, IDFI-ის შესწავლის საგანს კვლავ წარმოადგენდა რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე.

საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა დეზინფორმაციასთან ბრძოლა, რის ფარგლებშიც გამოქვეყნდა არაერთი ანალიტიკური სტატია თუ კვლევა. სტატიები მომზადდა საბჭოთა წარსულზე, მასთან დაკავშირებულ კოლექტიურ მეხსიერებასა და რუსულ დეზინფორმაციაზე.

2024 წელს IDFI-მ მოამზადა:

- 75-მდე კვლევითი დოკუმენტი (ანალიზი, ანგარიში, კვლევა, სტატია)
- 250-ზე მეტი ვიზუალიზაცია და საინფორმაციო ვიდეო
- 12 ბლოგპოსტი

2024 წელს IDFI-მ გამართა/ჩაატარა:

- 20-მდე ტრენინგი და ლექცია
- 6 პრეზენტაცია/დისკუსია/შეხვედრა
- 1 კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა
- 1 კარგი მმართველობის სკოლა
- 1 ზამთრის სკოლა „კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“
- 1 კარგი მმართველობის საერთაშორისო ფორუმი
- გამართა და მონაწილეობა მიიღო 6 საერთაშორისო კონფერენციაში

2024 წელს:

- IDFI-მ დაიწყო 9 ახალი პროექტი
- გაფორმდა/განახლდა 2 მემორანდუმი
- გამოცხადდა 4 კონკურსი, 2 სტაჟირება
- IDFI-ის პროექტმა მიიღო 1 ჯილდო
- გავრცელდა 40-მდე განცხადება

ღია მმართველობა და კორუფციასთან ბრძოლა

ღია მმართველობა და კორუფციასთან ბრძოლა

2024 წელს „რუსული კანონის" ხელახალი ინიცირებისა და მიღების შემდგომ ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები გარკვეულწილად მოდიფიცირდა, შექმნილი რეპრესიული კონტექსტის გათვალისწინებით. IDFI-მ კვლავ აქტიურად განაგრძო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი. ასევე, დღის წესრიგში დარჩა ღია მმართველობის, საჯარო ადმინისტრირებისა და კორუფციასთან ბრძოლის საკითხების მონიტორინგი.

კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა

2024 წლის 10 იანვარს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, კორუფციასთან მებრძოლთა საგანმანათლებლო სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში, მხარეთა შორის თანამშრომლობის მემორანდუმი განაახლეს.

კონკურსის შედეგად შერჩეულმა მონაწილეებმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან ერთად, გაიარეს კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამის საგნები, რომლებიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კურიკულუმის ნაწილია.

2024 წლის 5 მარტს, USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, IDFI-მ კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამის გაზაფხულის სემესტრი დაიწყო. პროგრამა გაიხსნა სამაგისტრო საგნით „კორუფციასთან ბრძოლა - საერთაშორისო აქტორები და ანტიკორუფციული პლატფორმები".

პროგრამის ფარგლებში 20 იანვარს IDFI-მ ჩაატარა ტრენინგი ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმების შესახებ.

სასერტიფიკატო პროგრამის 2023-2024 წლების მონაწილეთა დაჯილდოების ცერემონია 2024 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა. **80-მდე მონაწილემ წარმატებით დაასრულა 2023-2024 წლების კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა.**

კარგი მმართველობის ფორუმი 2024

2024 წლის 8-9 თებერვალს IDFI-მ <u>უმასპინძლა</u> კარგი მმართველობის საერთაშორისო ფორუმს, სახელწოდებით - **„კარგი მმართველობის პრინციპების გაუმჯობესება: საუკეთესო პრაქტიკები და გამოწვევები ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე".**

ფორუმი გაიმართა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით, და ასევე გაეროს განვითარების პროგრამისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობის, USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის გლობალური ინიციატივისა (AML/CFT Global Facility), და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თანადაფინანსებით.

ფორუმის მთავარი მიზანი იყო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების შესახებ დისკუსიის წახალისება და დემოკრატიული კონსოლიდაციის საქმეში კარგი მმართველობის რეფორმების მნიშვნელობის შეფასება.

2024 წლის კარგი მმართველობის ფორუმზე სულ ჩატარდა ექვსი პანელური დისკუსია: 1) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა: ინსტიტუციური რეფორმები, ჰოლისტიკური მიდგომები და პოლიტიკური ნება; 2) ორგანიზებული დანაშაულისა და ფულის გათეთრების პრევენცია: ძირითადი პრინციპები, წარმატების ისტორიები და მიღებული გაკვეთილები ორგანიზებული; 3) საჯარო მმართველობის რეფორმა, მიღწეული შედეგები, მიღებული გამოცდილება და არსებული საჭიროებები; 4) კარგი მმართველობის რეფორმის გენდერული მეინსტრიმინგი; 5) კორუფციასთან ბრძოლისა და კონკურენციის გაუმჯობესების ინოვაციური მექანიზმები: ინოვაციები სახელმწიფო შესყიდვებში და ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტები; 6) სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობა რეფორმებში: გამჭვირვალობა და ნდობა.

კარგი მმართველობის ფორუმის ორივე დღის ბოლოს მონაწილეებისათვის ასევე გაიმართა პრაქტიკული სამუშაო შეხვედრები, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკა საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში, ღია მმართველობის გაუმჯობესების პრაქტიკული ინსტრუმენტები, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინოვაციური მექანიზმები და სხვა.

საჯარო ადმინისტრირების რეფორმის (PAR) შეფასება

IDFI-მ მოამზადა საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის მიმოხილვა. მის ფარგლებში წარდგენილი იქნა მოსაზრებები საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის შესახებ. კერძოდ, **IDFI-მ მიიჩნია, რომ საჯარო მმართველობის 2023-2026 წლების სტრატეგია არ იყო ორიენტირებული ძირეულ რეფორმებსა და გარდაქმნებზე, არამედ მოიცავდა არაამბიციურ სამიზნე მაჩვენებლებს, ხოლო სტრატეგიის მიღმა იყო დარჩენილი მნიშვნელოვანი საკითხები და გამოწვევები.** სამოქმედო გეგმაში აღარ მოხვდა რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შეუსრულებელი აქტივობები, რამაც ყურადღების მიღმა დატოვა სფეროს გარდაქმნისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტები.

ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროებების კვლევა

2024 წლის დასაწყისში IDFI-მ განახორციელა საქართველოში არსებული ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროებების კვლევა, რომლის მთავარი მიზანი იყო იმ ღია სამთავრობო მონაცემების გამოვლენა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორისთვის და რომლებსაც ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებლის მოტანის შესაძლებლობა აქვს.

კვლევის ფარგლებში, ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული მეთოდოლოგიების ადაპტირებით შექმნილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, კერძო სექტორის

საჭიროებების გასარკვევად, გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კომბინირებულ მონაცემთა შეგროვების მეთოდები. კვლევის ფარგლებში ღია სამთავრობო მონაცემების კანონმდებლობისა და პრაქტიკის კუთხით გამოიკვეთა რამდენიმე გამოწვევა და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

ქვეყანაში ღია სამთავრობო მონაცემების კანონმდებლობისა და პრაქტიკის კუთხით მთავარ გამოწვევებად გამოიკვეთა: ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ერთიანი ხედვის და სტრატეგიის არარსებობა; ღია მონაცემების ოფიციალური პორტალის არაეფექტურობა; ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის კანონის არასათანადო აღსრულება; კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის ღია სამთავრობო მონაცემების ეკონომიკური და სხვა საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროება.

2024 წლის 27 თებერვალს, IDFI-მ და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამამ კერძო სექტორისთვის ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროების საკითხებზე კერძო-საჯარო დიალოგი გამართა, რომლის ფარგლებშიც ამავე საკითხზე მომზადებული კვლევის შედეგები იქნა წარდგენილი.

V-DEM კვლევის შედეგების საფუძველზე საქართველოს შესახებ ანალიზი

საერთაშორისო რეიტინგებსა და გამოკითხვებში საქართველოს პოზიციების შესწავლის ფარგლებში, IDFI-მ V-Dem-ის კვლევის შედეგები გაანალიზა, რამაც აჩვენა, რომ **2023 წელს საქართველოში დემოკრატიის ხარისხი ისევ გაუარესდა**. წინა წელთან შედარებით, V-Dem-ის შემადგენელ ხუთივე მაღალი დონის ინდექსში საქართველოს მაჩვენებლები შემცირდა. მონაცემების ცვლილება მიუთითებდა, რომ გასაუმჯობესებელია სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა. V-Dem-ის ანგარიში პირდაპირ მიუთითებდა 2023 წლის მარტში „რუსულ კანონთან" დაკავშირებულ მოვლენებს, როდესაც საუბრობდა საქართველოში დემოკრატიის ხარისხის კლებაზე.

აზიის განვითარების ბანკის 57-ე წლიურ შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების გაცნობითი ღონისძიება

2-5 მაისს თბილისში ჩატარდა აზიის განვითარების ბანკის 57-ე წლიური შეხვედრა თემატიკით „ხიდის აშენება მომავლისკენ". როგორც ADB-ის პარტნიორმა

საქართველოში, IDFI-მ 2 მაისს ADB-ის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ცენტრთან ერთად უმასპინძლა გაცნობით ღონისძიებას სამოქალაქო საზოგადოებისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებისთვის. ღონისძიებაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართა IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა.

ბენეფიციარი მესაკუთრეობის გამჭვირვალობის სტანდარტების დამკვიდრების მხარდაჭერის გაგრძელება

IDFI აგრძელებდა ბენეფიციარი მესაკუთრეობის გამჭვირვალობის სტანდარტების ანალიზსა და მათი საქართველოში დამკვიდრების მხარდაჭერას. ამ მიზნით, საერთაშორისო ექპერტების მიერ მომზადდა ანგარიშები ბენეფიციარი მესაკუთრეობის გამჭვირვალობის შესახებ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, კერძოდ პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში. ამასთანავე, საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის დამფუძნებლის, მამუკა ჟღენტის მიერ მომზადდა ანალიზი საქართველოში ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის სტანდარტებისა და საგადასახადო კოდექსში შეტანილი სადავო ცვლილებების (ე.წ. „ოფშორების კანონის“) შესახებ.

პოლიტიკის დოკუმენტების კონკურსი ახალგაზრდებისთვის

IDFI-მ, USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩაატარა პოლიტიკის დოკუმენტების კონკურსი.

ასევე ჩატარდა ონლაინ ტრენინგები კონკურსით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. პირველი ონლაინ ტრენინგი ეხებოდა კონკურსის პირობებს. მეორე ტრენინგის ფარგლებში, კონკურსით დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა მიიღეს პრაქტიკული და თეორიული ინფორმაცია, საჯარო მონაცემების გამოთხოვის, მიღების და სხვადასხვა ონლაინ წყაროდან მოპოვების შესახებ. მესამე ტრენინგით კი, ახალგაზრდებმა მიიღეს პრაქტიკული და თეორიული ინფორმაცია საჯარო პოლიტიკის საკითხებზე, თუ როგორ უნდა მომზადდეს პოლიტიკის ანალიზის დოკუმენტი. ბოლო ტრენინგი ეხებოდა კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზისა და კომუნიკაციის საკითხებს.

კონკურსის გამარჯვებულთა მიერ მომზადებული ნაშრომების პრეზენტაცია 2024 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა, კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამის 2023-2024 წლების მონაწილეთა დაჯილდოების ცერემონიის ფარგლებში. გამარჯვებული პოლიტიკის დოკუმენტები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენის პრობლემები და მათი დაძლევის პერსპექტივები; ინტერმუნიციპალური საქმიანობის გაძლიერება საქართველოში; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმები.

კარგი მმართველობის სკოლა

IDFI-მ 2024 წლის 16-20 სექტემბრის პერიოდში, USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, „კარგი მმართველობის სკოლა“ გამართა.

სკოლის მთავარი მიზანი იყო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებასთან ერთად, მონაწილეებს ემუშავათ ინდივიდუალურ ანალიტიკურ ნაშრომზე/სტატიაზე, რომლის გამოსაქვეყნებლად შერჩევის შემთხვევაშიც, მიიღებდნენ ერთჯერად სტიპენდიას.

სკოლაში მონაწილეობა მიიღო ორსაფეხურიანი კონკურსის საფუძველზე შერჩეულმა 24-მა მონაწილემ, რომელთა შორისაც იყვნენ კარგი მმართველობის, საჯარო მმართველობის, კორუფციასთან ბრძოლისა და საჯარო ფინანსების განკარგვის მონიტორინგით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევრები, სტუდენტები და სამოქალაქო აქტივისტები.

GRECO-ს შეფასების მე-5 რაუნდის ანგარიშის მიმოხილვა

IDFI-მ მოამზადა GRECO-ს შეფასების მე-5 რაუნდის ანგარიშის მიმოხილვა. 2024 წლის 18-22 მარტს, სტრასბურგში გამართულ GRECO-ს 96-ე პლენარული სხდომის მიერ დამტკიცებული ანგარიში მოიცავს 27 რეკომენდაციას. მნიშვნელოვანია, რომ წინა ეტაპებზე გაცემული თექვსმეტი რეკომენდაციიდან, რვა რეკომენდაცია დამაკმაყოფილებლად შესრულდა ან დამაკმაყოფილებელი წესით დარეგულირდა, ექვსი რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო ორი რეკომენდაცია არ შესრულდა. მე-5 რაუნდის ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობა, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სუბიექტების წრის გაფართოება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სხვა პრობლემური საკითხები, რომელთა შესახებაც IDFI წლებია გასცემს რეკომენდაციებს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შედეგები

2024 წელს, IDFI-მ განაგრძო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყოველწლიური მონიტორინგი, რომელსაც ორგანიზაცია 2010 წლიდან უწყვეტად ახორციელებს.

2024 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთი უწყებების გამჭვირვალობის ხარისხის შეფასებას, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ „რუსული კანონის" მიღებასა და აღსრულებაზე. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ არსებულ პრობლემებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მომზადდა 15 საინფორმაციო მასალა. მათ შორის, IDFI-მ აწარმოა კამპანია „რას გვიმალავს მთავრობა?", რომლის მიზანი იყო გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართ, ხელისუფლების დამოკიდებულების შეფასება.

ასევე, IDFI-მ გამოაქვეყნა სტატია „არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების „გამჭვირვალობის" კვლევით დაკავებული ხელისუფლების გამჭვირვალობა", რომელშიც 14 ცენტრალური უწყების მაგალითზე მიმოხილული იყო, რამდენად უზრუნველყოფდნენ საკუთარ ვებ-გვერდებზე ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას.

საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული სხვადასხვა სავალდებულო ინფორმაცია							
საჯარო დაწესებულების დასახელება	ვებ-გვერდი	წლიური ანგარიში	დასაქმებულთა რაოდენობა	შრომის ანაზღაურება/ შვებულება	ავტოპარკი/ საწვავის ხარჯი	მიღებული/ გაცემული გრანტები	საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება
საქართველოს პარლამენტი	parliament.ge	√	√	O	X	X	X
მთავრობის ადმინისტრაცია	gov.ge	O	√	X	X	X	X
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	mepa.gov.ge	√	√	√	√	O	X
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	mrdi.gov.ge	X	√	√	√	√	√
იუსტიციის სამინისტრო	justice.gov.ge	X	√	√	X	X	√
ფინანსთა სამინისტრო	mof.ge	X	√	√	√	√	O
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	X	X	X	X	X	X	X
ჯანდაცვის სამინისტრო	moh.gov.ge	X	√	√	√	O	X
განათლების და მეცნიერების სამინისტრო	mes.gov.ge	√	√	√	√	X	O
საგარეო საქმეთა სამინისტრო	mfa.gov.ge	O	√	X	X	X	X
შინაგან საქმეთა სამინისტრო	police.ge	√	O	√	√	√	√
თავდაცვის სამინისტრო	mod.gov.ge	X	√	√	√	√	√
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	economy.ge	X	X	√	√	O	√
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	smr.gov.ge	√	X	X	X	X	X

√ - გამოქვეყნებულია O - ნაწილობრივ გამოქვეყნებულია X - არ არის გამოქვეყნებული

მონაცემები: ცხრილი ასახავს, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე 2024 წლის პირველი კვარტალის (კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შემთხვევაში) და 2023 წლის (წლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შემთხვევაში) სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ამასთანავე, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად, შეფასდა 2023 წელს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, რაც 60%-ს შეადგენდა.



10 დეკემბრის ანგარიშების სიზუსტის მონიტორინგი

IDFI-მ მოამზადა საჯარო დაწესებულებების მიერ 2023 წელს წარდგენილი ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშების მიმოხილვა.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი 82 უწყების ანგარიშების მონიტორინგმა აჩვენა რომ, წინა წლების მსგავსად, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებები ანგარიშებში ასახავდნენ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამო მონაცემებს. 82 საჯარო დაწესებულებიდან, 15-ის (მათ შორის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) 2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიში საერთოდ არ იყო

ხელმისაწვდომი. 24 საჯარო დაწესებულების მიერ 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაცია შეიცავდა მნიშვნელოვან უზუსტობებს ან/და აღრიცხული იყო მანიპულაციურად. ეს და სხვა უზუსტობები კითხვის ქვეშ აყენებენ 10 დეკემბრის ანგარიშების სანდოობას.

ბიუროკრატიული აპარატის ადმინისტრაციული ხარჯების მონიტორინგი

IDFI-მ 2024 წელს განაგრძო ბიუროკრატიული აპარატის ადმინისტრაციული ხარჯების მონიტორინგი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს და საქსტატის საჯაროდ ხელმისაწვდომ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, IDFI-იმ გამოიკვლია ბიუროკრატიული აპარატის ზომის და სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯის (შრომის ანაზღაურება, შტატგარეშეთა ანაზღაურება, წარმომადგენლობითი ხარჯები, სამივლინებო ხარჯები, ავტოპარკის ხარჯები და სხვა) ტენდენციები და მისი კორელაცია საარჩევნო წლებთან.

საზოგადოების ინფორმირების მიზნით მომზადდა და გამოქვეყნდა 12 სხვადასხვა საინფორმაციო მასალა.

ქართული ოცნების შემომწირველების მონიტორინგი

2024 წელს წინასაარჩევნო პერიოდში IDFI ახორციელებდა ქართული ოცნების შემომწირველების მონიტორინგს. მონიტორინგმა აჩვენა, რომ საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქართული ოცნების შემომწირველებთან დაკავშირებული კომპანიები იგებდნენ მილიონობით ლარის ტენდერებს და სარგებლობდნენ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებით. პოლიტიკური კორუფციის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით, წინასაარჩევნო პერიოდში IDFI-მ მოამზადა 8 საინფორმაციო მასალა.

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის საქმიანობაში ჩართულობა

2023 წელს, IDFI ჩაერთო ანტიკორუფციული ბიუროს მიერ 2024 წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირების შესარჩევად ფორმირებული დამოუკიდებელი კომისიის სამუშაო პროცესში. 2024 წლის 12 იანვარს, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შექმნილმა დამოუკიდებელმა კომისიამ შეარჩია 300 თანამდებობის პირი, მათ შორის 27

მოსამართლე, რომელთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაც უნდა შემოწმებულიყო 2024 წელს.

2024 წლის 4 აპრილს ცნობილი გახდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთხი მოსამართლის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შემოწმების პროცესი გააჩერა. ამ მოსამართლეთა შორისაა მათ შორის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარატმენტის მიერ „მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობისთვის" სანქცირებული ორი მოსამართლე.

ონლაინ დისკუსიები დეოლიგარქიზაციასთან და კორუფციასთან ბრძოლის რეფორმებზე

26 ივლისს IDFI-მ უმასპინძლა ონლაინ ლექციასა და დისკუსიას თემაზე - „დეოლიგარქიზაციის რეფორმის დღის წესრიგი მოლდოვასა და საქართველოში: ევროკავშირის მოთხოვნები და პროგრესი". შეხვედრის მიზანი იყო დეოლიგარქიზაციის რეფორმის ქვეშ ევროკავშირის მიერ საქართველოსა და მოლდოვისთვის განსაზღვრული მთავარი მოთხოვნების, ქვეყნების მიერ რეფორმის ფარგლებში აღებული ვალდებულებებისა და შემუშავებული გეგმების, მათ მიერ მიღწეული პროგრესისა და გამოწვევების განხილვა.

30 ივლისს კი, IDFI-მ უმასპინძლა ონლაინ ლექციასა და დისკუსიას თემაზე - „კორუფციასთან ბრძოლის რეფორმები ევროინტეგრაციის გზაზე: საერთაშორისო ინიციატივები, ვალდებულებები და საქართველოს პროგრესი". ლექციისა და დისკუსიის მიზანი იყო კორუფციასთან ბრძოლის კუთხით საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებისა და საერთაშორისო ინიციატივებში მისი ჩართულობის განხილვა. ასევე, ევროინტეგრაციის გზაზე კარგი მმართველობისა და კორუფციასთან ბრძოლის რეფორმების მნიშვნელობის, ევროკომისიის რეკომენდაციების, მათი შესრულების პროცესსა და არსებულ საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება.

ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში ჩართულობა

IDFI აგრძელებდა საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში მონაწილეობის ხარისხის მონიტორინგს. 2024 წლის დასაწყისში, მომზადდა საქართველოს OGP-ის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმისა და მიღების პროცესის მიმოხილვა.

7 მაისს, კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა გაეწვია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი,

წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ქვეყანას OGP-ის წევრობა შეწყდომოდა. საბოლოო ჯამში 14 ოქტომბერს OGP-ის მმართველმა კომიტეტმა ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს წევრობა დროებით შეაჩერა და მოუწოდა საქართველოს მთავრობას, C&S (კრიტერიუმების და სტანდარტების) ქვეკომიტეტთან თანამშრომლობით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგი რეკომენდაციების შესრულებას: 1. იმ საკანონმდებლო აქტების გაუქმება, რომლებიც დისკრიმინაციულია, იწვევს სტიგმატიზაციას, ან ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მედიისა და მოწყვლადი ჯგუფების გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას; 2. გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების სივრცისა და მათი ფუნქციონირების დაცვა ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმებისგან, მათ შორის საარჩევნო პერიოდში.

მონაწილეობა UNCAC-ის კოალიციის აქტივობებში

IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, UNCAC-ის კოალიციის მიწვევით, მონაწილეობა მიიღო რეგიონულ შეხვედრაში.

28 ნოემბერს, გაიმართა ევროპული ქსელის მე-15 რეგიონული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის რეგიონში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის IDFI-ის თანადამფუძნებელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, რეგიონების მიხედვით, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების თვალსაზრისით არსებული გამოწვევების გამოვლენა და მათ საპასუხოდ შესაძლო ინიციატივების მიმოხილვა.

შეხვედრის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბრის შემდგომ არსებულ სიტუაციას და იმ საფრთხეებს, რომლის წინაშეც არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. აღინიშნა, რომ მიუხედავად კრიტიკული მდგომარეობისა, ისინი რჩებიან თავიანთი მისიის ერთგულნი და აგრძელებენ დემოკრატიული ღირებულებების დაცვას.

კანონის უზენაესობა და მედიის თავისუფლება

კანონის უზენაესობა და მედიის თავისუფლება

გასულ წელს, ქვეყნისთვის საკვანძო მნიშვნელობის საკითხებზე, ამ მიმართულების ფარგლებში, ორგანიზაციამ მოამზადა და გამოაქვეყნა არაერთი ანალიტიკური დოკუმენტი და საინფორმაციო მასალა. ამავდროულად, IDFI-მ მონაწილეობა მიიღო არაერთ სამუშაო შეხვედრაში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, გასცა სამართლებრივი კონსულტაციები და წარმოადგინა ბენეფიციარების ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, IDFI-მ როგორც ორგანიზაციულად, ისე მედიის სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, საერთო სასამართლოებში აწარმოა ათობით საქმე.

ამავდროულად, 2024 წელს, IDFI-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ სტრატეგიულ სამართალწარმოებაში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე და, ამ პროცესში, მხარდაჭერა გაუწია სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციებს.

წინა წლების მსგავსად, IDFI ჩართული იყო კოალიციურ საქმიანობაში. 2024 წელს IDFI გახდა კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის თავმჯდომარე ორგანიზაცია, ის ასევე აქტიურად თანამშრომლობდა მედიის ადვოკატირების კოალიციასთან. IDFI ასევე იყო კოალიციის - „ჩემი ხმა ევროკავშირს“- წევრი და ჩართული იყო, როგორც სადამკვირვებლო მისიის - „ჩემი ხმა“ - ფორმირების, ასევე საარჩევნო დავების წარმართვის პროცესებში. 2024 წლის დეკემბერში კი, IDFI შეუერთდა არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელს; ასევე, სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად, დაიწყო დანაშაულებისა და რეპრესიების სხვა ფორმების დოკუმენტირების პროცესი.

კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების შესახებ რიგით მესამე ზამთრის სკოლა

2024 წლის 9-13 თებერვალს, IDFI-მ, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით, ზამთრის სკოლა „კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“ გამართა.

2023 წლის 14 დეკემბერს, ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების გათვალისწინებით, ზამთრის სკოლის თემატიკა დიდწილად საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესსა და ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრულ ნაბიჯებს და თანმდევ საკითხებს შეეხებოდა.

მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები და მონაწილეობა მიიღეს დისკუსიებში შემდეგი შინაარსობრივი საკითხების ირგვლივ: 1. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, სახელმწიფოს ბოჭვა ადამიანის უფლებებით და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი; 2. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შინაარსი და მისი გამოყენების პერსპექტივა; 3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი, დანიშნულება, მიმართვის წესი, სტანდარტების და პრეცედენტების გამოყენება ეროვნულ დონეზე; 4. ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი და საქართველოსთვის განსაზღვრული პრიორიტეტები და დათქმები; 5. მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში: რეფორმის ტალღები და არსებული გამოწვევები; 6. მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღება და კეთილსინდისიერების შემოწმების ექსტრაორდინარული მექანიზმი; 7. უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული ზედამხედველობა; 8. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და დეოლიგარქიზაცია; 9. სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის საზოგადოებრივი საზედამხედველო ფუნქცია; 10. დამოუკიდებელი ინსტიტუტების როლი და არსებული გამოწვევები; 11. ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნებისთვის სახელმწიფოთაშორისო მექანიზმების გამოყენება და საქართველოს გამოცდილება.

ზამთრის სკოლაში მონაწილეობა მიიღო 24-მა მონაწილემ, მათ შორის იყვნენ როგორც სტუდენტები, ასევე საჯარო მოხელეები. ისინი რამდენიმე საფეხურიანი კონკურსის შედეგად შეირჩნენ. ზამთრის სკოლაში მომხსენებლებად მოწვეული იყვნენ სხვადასხვა პროფესიული და აკადემიური გამოცდილების მქონე ექსპერტები.

სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები პრაქტიკაში

2023 წლის ივნისსა და 2024 წლის მაისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ნორმატიულ დონეზე არსებითად გაუმჯობესდა ღია

სხდომაზე მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხი. 2024 წლის განმავლობაში, IDFI-მ მოამზადა და გამოაქვეყნა ორი ანგარიში, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული ნორმატიული მოწესრიგების პრაქტიკაში აღსრულების საკითხის შეფასებას.

2024 წლის 29 მარტს, IDFI-მ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გამოაქვეყნა ანგარიში - სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები. ანგარიში წარმოაჩენს მოვლენების ქრონოლოგიას, რომელიც წინ უძღოდა 2023 წლის ივნისში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, აფასებს იმ მომენტისთვის არსებულ ნორმატიულ ჩარჩოს და განიხილავს იმ სისტემურ გამოწვევებს, რომლებიც გამოვლინდა პრაქტიკაში საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების თვალსაზრისით.



2024 წლის 4 ნოემბერს, IDFI-მ, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, გამოაქვეყნა ანგარიში - სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნება: კანონმდებლობა და პრაქტიკა. დოკუმენტი აანალიზებს როგორც საერთაშორისო გამოცდილებასა და მიდგომებს, ასევე ეროვნულ ნორმატიულ ჩარჩოსა და პრაქტიკას. კერძოდ, ანგარიშის პირველი თავი ეთმობა სასამართლო აქტების პროაქტიული ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასთან ურთიერთმიმართებისა და საერთაშორისო მიდგომების მიმოხილვას, ხოლო შემდგომი ნაწილები აანალიზებს საქართველოში არსებულ ნორმატიულ მოწესრიგებას და ავლენს პრაქტიკაში კანონმდებლობის აღუსრულებლობის თვალსაზრისით არსებულ სისტემურ გამოწვევებს.

ფარული მეთვალყურეობის ზედამხედველობის მონიტორინგის ანგარიში

ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტის და ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, IDFI-მ მოამზადა და 2024 წლის 5 სექტემბერს გამოაქვეყნა ანგარიში - ფარული მეთვალყურეობის ზედამხედველობა: კანონმდებლობა და პრაქტიკა.



ანგარიშის მიზანს წარმოადგენდა ფარულ მიყურადებაზე გარე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და ეფექტიანობის შეფასება, 2021-2023 წლებში, მათი მანდატის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის შედეგად. ანგარიშმა მათ შორის გამოავლინა, რომ ფარულ მეთვალყურეობაზე ზედამხედველი საჯარო დაწესებულებები, ხშირად, უხეშად არღვევენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას. ამავდროულად, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საჯაროდ დაფიქსირებულ ინციდენტებზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან არასათანადო რეაგირება.

სამართალწარმოება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხის მკვეთრად გაუარესების შემდეგ, IDFI აქტიურად ასაჩივრებს საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარსა (მათ შორის ინფორმაციის ნაწილის გაცემაზე უარს) და უპასუხოდ დარჩენილ მოთხოვნებს.

2024 წლის განმავლობაში, IDFI აგრძელებდა, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მედიის სამართლებრივ დახმარებას, საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში. კერძოდ, 2024 წელს IDFI მედიის წარმომადგენლებს დაეხმარა საჯარო ინფორმაციის 23 წერილობითი მოთხოვნის მომზადებაში, ორგანიზაციის იურისტებმა გასწიეს დაახლოებით 45 კონსულტაცია და მედიის წარმომადგენლებისთვის მოამზადეს 49 ადმინისტრაციული საჩივარი, 10 სარჩელი და ერთი სააპელაციო საჩივარი. 2024 წლის ბოლოსთვის, მედიის სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, IDFI ჩართული იყო 29 მიმდინარე სასამართლო დავაში.

ამასთანავე, წლის განმავლობაში IDFI თავადაც აგრძელებდა მუშაობას, საჯარო ინფორმაციის საკითხებთან დაკავშირებით, სტრატეგიული სამართალწარმოების მიმართულებით. 2024 წელს IDFI-მ წარადგინა საჯარო ინფორმაციის, დაახლოებით, 190 მოთხოვნა, 134 ადმინისტრაციული საჩივარი, ერთი ადმინისტრაციული სარჩელი და ერთი საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 2024 წლის

ბოლოსთვის IDFI აწარმოებდა 11 სტრატეგიულ დავას საერთო სასამართლოებში და ორ სასამართლო დავას პარტნიორი ორგანიზაციის მხარდასაჭერად.

მნიშვნელოვანი აქტივობები ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ნაბიჯების შესრულების ხელშესაწყობად

2024 წლის დასაწყისიდანვე IDFI აქტიურად აგრძელებდა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ნაბიჯების (კანონის უზენაესობასა და მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული) განხორციელების მხარდაჭერას. 2024 წლის იანვარში გავრცელდა რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დამტკიცებული სამთავრობო გეგმის შესახებ. ერთობლივი განცხადება მიუთითებდა, რომ გეგმა არ შემუშავდა სათანადო ჩართულობით, ხოლო მისი შინაარსი არაერთი მიმართულებით საჭიროებდა დაზუსტებას.

თებერვალში გამოქვეყნდა რამდენიმე ორგანიზაციის, მათ შორის IDFI-ის ჩართულობით შემუშავებული ხედვა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯის შესრულების შესახებ.

გარდა ამისა, IDFI-მ შეაფასა „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული ცვლილებები სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ. IDFI-ის შეფასებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ ინიცირებული ცვლილებები იყო ფრაგმენტული და არ ითვალისწინებდა იმ სისტემურ მიდგომას, რომელიც საჭიროა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. მსგავსი შეფასება გაკეთდა ანტიკორუფციული ბიუროს თაობაზე ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებაც. IDFI მიუთითებდა, რომ ვენეციის კომისიის საკვანძო რეკომენდაციები, რომელთა შესრულება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ევროკომისიის ერთ-ერთი ნაბიჯის შესრულებას, დაინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებში უგულებელყოფილი იყო.

ამავდროულად, 2024 წლის დასაწყისში, IDFI შეუერთდა რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფს და აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ცხრა ნაბიჯის განხორციელების სტატუსის შესახებ ერთობლივი ანგარიშების მომზადებაში. წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ორი ანგარიში (1,2), რომელთა მომზადების პროცესში IDFI-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანტიკორუფციულ ზომებთან, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან დაკავშირებული საკითხების შეფასებაში.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფორმირებული დამოუკიდებელი კომისიის საქმიანობაში ჩართულობა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის შერჩევის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილებით, შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი იყო IDFI-ის კანონის უზენაესობისა და მედიის თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელი.

კომისიამ კანდიდატები წინასწარ შემუშავებული და გასაჯაროებული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა და პრეზიდენტის წინაშე რეკომენდაცია გაუწია ორ კანდიდატს.

საქართველოს პრეზიდენტმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად კომისიის მიერ რეკომენდებული კანდიდატებიდან ერთ-ერთი დანიშნა, თუმცა, სასამართლომ 2024 წლის 22 ივლისს შეაჩერა პრეზიდენტის განკარგულების მოქმედება. აღნიშნული შეფასდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უხეშ დარღვევად.

სტრატეგიული სამართალწარმოება „რუსული კანონის“ წინააღმდეგ

2024 წლის ივნისში გავრცელდა ერთობლივი განცხადება „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ერთობლივი სამართლებრივი ბრძოლის დაწყების შესახებ. ყველა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციას, რომელზეც ვრცელდება „რუსული კანონი“, მიეცა შესაძლებლობა გამხდარიყო ამ პროცესის მონაწილე.

2024 წლის ივლისში, 122-მა სამოქალაქო და მედია ორგანიზაციამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთობლივი კონსტიტუციური სარჩელით მიმართა. IDFI-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, როგორც სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერის, ასევე კონსტიტუციური სარჩელის მომზადების პროცესებში. აგვისტოს ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამართულ განმწესრიგებელ სხდომებზე, IDFI-ის კანონის უზენაესობისა და მედიის თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელი, ქალბატონ ქეთევან ერემაძესთან ერთად, წარმოადგენდა 122 სამოქალაქო და მედია ორგანიზაციას.

2024 წლის ოქტომბერში, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ სამართლებრივი ბრძოლის შემდეგი ეტაპი დაიწყო და 16 მედია ორგანიზაციის, 120 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისა და 4 ფიზიკური პირის სახელით ერთობლივი საჩივარი წარედგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. IDFI ჩართული იყო როგორც სხვა მომჩივანი ორგანიზაციების მხარდაჭერის, ასევე საჩივრის მომზადების პროცესში.

ანალიტიკური დოკუმენტები გამოხატვის თავისუფლების ჩახშობის რეპრესიულ მცდელობებზე

2024 წლის მაისში, IDFI-მ გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი, „რუსული კანონის“ რეპრესიული ეფექტების თაობაზე. დოკუმენტი მიზნად ისახავდა, საზოგადოების ინფორმირებას „რუსული კანონით“ გათვალისწინებული რამდენიმე რეპრესიული მექანიზმის შესახებ.

2024 წლის 31 მაისს, საქართველოში სიტყვის თავისუფლების ჩახშობის მცდელობის მორიგი ორგანიზებული ფაქტი დაფიქსირდა. კერძოდ, 31 მაისს, გამთენიისას, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ისევე როგორც ჟურნალისტების სამუშაო ან/და საცხოვრებელი ადგილების შესასვლელებთან გაკეთდა შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი წარწერები. IDFI-ის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტში, 31 მაისს განვითარებული მოვლენები შეფასდა, როგორც „რუსული კანონის“ დაინიცირების შემდგომ ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილი სისტემური, დანაშაულებრივი და ძალადობრივი კამპანიის შემადგენელი ელემენტი.

2024 წლის 28 ნოემბრიდან კრიტიკული მოსაზრებების მქონე პირების წინააღმდეგ განხორციელებულმა რეპრესიულმა ღონისძიებებმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბს მიაღწია.

იმავე წლის დეკემბერში, IDFI-მ შეაფასა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ქართული ოცნების მიერ მესამე მოსმენით მიღებული ცვლილებები და აღნიშნა, რომ მათი მიღების მთავარი მიზანი საჯარო მოხელეთა დაშინებაა - არ შეეწინააღმდეგონ საქართველოს კონსტიტუციის აშკარა დარღვევას და საქართველოს საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევის მცდელობას.

დეკემბერშივე, IDFI-მ გაანალიზა და შეაფასა ქართული ოცნების მიერ მიღებული მორიგი რეპრესიული საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც არსებითი ცვლილებები შევიდა ჯერ კიდევ 1984 წელს, სსრკ-ში მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. IDFI-მ აღნიშნა, რომ მიღებული ცვლილებები მყისიერ საფრთხეს უქმნის შეკრების თავისუფლების რეალიზებას. ორგანიზაციის შეფასებით, ცვლილებების ძირითადი სამიზნე, სწორედ 28 ნოემბრის შემდგომ მიმდინარე უწყვეტი პროტესტის მონაწილეები არიან.

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

2019 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური და სოციალური მიმართულების მნიშვნელოვანი გაფართოებით IDFI-მ თავი დაიმკვიდრა როგორც საზოგადოებისთვის სანდო ანალიზის და შეფასებების მიმწოდებელმა კვლევითმა ორგანიზაციამ.

2024 წელს შექმნილი კრიზისული სიტუაციის გათვალისწინებით, სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა საზოგადოების ინფორმირება, არსებული სიტუაციის მოსალოდნელ გავლენაზე სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. ასევე, IDFI-ის ინტერესის საგანს, კვლავ წარმოადგენდა რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე.

IDFI-ის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გუნდის მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომები წლის მანძილზე მედიის აქტიური ყურადღების ცენტრში იყო.

საზოგადოების ინფორმირება სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესახებ



IDFI მთელი წლის განმავლობაში საზოგადოებას აქტიურად აწვდიდა სრულყოფილ ინფორმაციას სხვადასხვა პრობლემურ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხზე. ამ მიზნით IDFI-მ მოამზადა ორი კვლევითი დოკუმენტი და 12 საინფორმაციო მასალა, რომელიც აღწერდა საქართველოში დასაქმების, დემოგრაფიის, მიგრაციის, სოციალურად დაუცველთა პოლიტიკის და სხვა პრობლემებს.

წინასაარჩევნო პერიოდში, IDFI-ის პრიორიტეტს წარმოადგენდა საზოგადოების ინფორმირება იმ სოციალური პროგრამების და ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ, რომელთა შესახებაც ცნობებს მმართველი პარტია და ხელისუფლება მანიპულაციურად აწვდიდა საზოგადოებას.

IDFI-მ მოამზადა კვლევა „რის ხარჯზე მცირდება უმუშევრობის მაჩვნებელი?“, რომელიც აჩვენებდა რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება არ უკავშირდებოდა ჯანსაღ ეკონომიკურ პროცესებს და განპირობებული იყო სახელმწიფო პროგრამებში დასაქმებულთა ზრდით. ამასთან, IDFI-მ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, დაადგინა საქართველოს სახელმწიფო სექტორის ბიუროკრატიული აპარატის

მიახლოებითი ზომა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქსტატის მიერ სამუშაოს ძალის გამოკვლევით მიღებულ შეფასებით მონაცემებს.

კრიზისული პროცესების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

2024 წელს ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობაზე. პარტია ქართული ოცნების არადემოკრატიული ქმედებების შედეგად, ქვეყანა დადგა სანქციების საფრთხის ქვეშ, რაც მნიშნელოვან ეკონომიკურ რისკებს შეიცავდა.

IDFI სისტემატურად აწვდიდა მოქალაქეებს პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგად მომდინარე ეკონომიკური საფრთხეების და უკვე დამდგარი შედეგების შესახებ ინფორმაციას.

IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევითი დოკუმენტები აშშ-ს სანქციების საფრთხე და საქართველოს ეკონომიკა, ამერიკული სამხედრო დახმარება - რატომ, რისთვის და რამდენით აფინანსებს აშშ საქართველოს, რომლებიც მიმოიხილავს აშშ-ს მიერ სანქციების რისკს და მის პოტენციურ გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე.

2024 წლის 30 დეკემბერს, ასევე გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც მიმოიხილავდა პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგად შემცირებულ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოში და არსებულ მოლოდინებს.

რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეფასება

IDFI-მ აქტიურად გააგრძელა რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე და ხელი შეუწყო ამ მხრივ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას.

2024 წლის 17 სექტემბერს გამოქვეყნდა რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებული კომპანიების შესახებ კვლევა, რომელიც მიმოიხილავდა ამ კომპანიების მფლობელების კავშირებს და მათი დაფუძნების სტატისტიკურ მონაცემებს სხვადასხვა მახასიათებლის (ბიზნეს სექტორები, კომპანიების ზომა, სტატუსი, სამართლებრივი ფორმა და სხვა) მიხედვით. კვლევაში ასევე განხილული იყო კომპანიების რეგისტრაციის თავისებურებები და მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.



IDFI-მ გამოავლინა ასობით რუსული კომპანია, რომელიც რეგისტრირებული იყო ერთი და იმავე მისამართზე. აღნიშნულ თემაზე მომზადდა საინფორმაციო მასალაც.

ქალაქ თბილისის 2018-2024 წლების საპარკინგე პოლიტიკა

IDFI-მ მოამზადა ქალაქ თბილისის 2018-2024 წლების საპარკინგე პოლიტიკის ანალიზი. სტატია აანალიზებს, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან და სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ქალაქ თბილისში პარკირების საჯარიმო პოლიტიკასთან, კომპანიის მიღებულ შემოსავლებსა და საპარკინგე ადგილების მოწყობაზე მიმართულ რესურსთან დაკავშირებულ მონაცემებს.

სტატიაში მოცემულია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ პარკირების წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმების რაოდენობა კვლევის პერიოდში, საპარკინგე ადგილების მოწყობაზე დახარჯული თანხები და სხვა სტატისტიკური მონაცემები.

ინტერნეტი და ინოვაციები

ინტერნეტი და ინოვაციები

2024 პირველ თვეებში IDFI-მ გააგრძელა კვლევის, ადვოკატირებისა და შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ციფრული უფლებები, კიბერ უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი და ღია მონაცემები. AI-ის თემა კვლავ აქტუალური იყო ინსტიტუტისთვის. თუმცა, „რუსული კანონის" ხელახალი ინიცირებისა და მიღების შემდგომ ქვეყანაში არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების უმეტესი ნაწილის განხორციელება შეჩერდა.

ხელოვნური ინტელექტი (AI)

ხელოვნური ინტელექტი ერთ-ერთი ის საკითხია, რომელზეც IDFI 2024 წელს მუშაობდა. ამ კუთხით დაიწერა არაერთი სტატია, ასევე IDFI მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ღონისძიებაში.

LAITech2024-ის კონფერენცია

IDFI-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს LAITech2024 კონფერენციაში, რომელიც ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება და რომლის თემა 2024 წელს იყო „კანონი, ეთიკა და პოლიტიკა ხელოვნურ ინტელექტსა და სამომავლო ტექნოლოგიებზე". კონფერენციაზე IDFI-ის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საქართველოში საჯარო უწყებების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შემთხვევებსა და პრაქტიკაზე, 2021 წელს ჩატარებული კვლევის - ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში - კანონმდებლობა და პრაქტიკა - საფუძველზე.

ევროპის საბჭოს კონვენცია AI-ზე

IDFI-მ მიმოიხილა ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენცია ხელოვნური ინტელექტის თაობაზე, რომელსაც საქართველომ 2024 წლის სექტემბერში მოაწერა ხელი. დოკუმენტი მიმოიხილავს ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენებასა და ადამიანის უფლებებს, ტექნოლოგიურ პროგრესს და ინოვაციებს შორის ბალანსის უზრუნველყოფას. სტატიაში მოცემულია დოკუმენტის ძირითადი პრინციპები და საქართველოში მის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული მიმართულებები.

თანამშრომლობის მემორანდუმი ხელოვნური ინტელექტის ასოციაციასთან

2024 წლის 12 მარტს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსა და საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

საქართველოს შედეგები საერთაშორისო ინდექსებში

2024 წელს, IDFI მიმოიხილავდა საქართველოს მიერ მიღებულ შეფასებებს სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსის მიხედვით.

AI მზაობის ინდექსი

2024 წლის იანვარში, IDFI-მ მიმოიხილა საქართველოს მიერ მიღებული შეფასება მთავრობის AI მზაობის ინდექსში (The Government AI Readiness Index). ინდექსი ზომავს, თუ რამდენად მზადაა მთავრობა, საჯარო სერვისში დანერგოს ხელოვნური ინტელექტი. 2023 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში ინდექსმა 193 ქვეყანა შეაფასა, მათ შორის, **საქართველოც, რომელმაც რეიტინგში 99-ე ადგილი დაიკავა და შედეგებით ჩამორჩება ყველა მეზობელ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს**.

პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის გლობალური ინდექსი

AI-სთან დაკავშირებული მეორე ინდექსი, რომლის მიმოხილვა IDFI-მ მოამზადა, იყო პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის გლობალური ინდექსი (GIRAI). GIRAI წარმოადგენს ინიციატივას, რომელმაც შექმნა ინკლუზიური და გაზომვადი ინდიკატორები მთავრობებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ პასუხისმგებლიანი AI პრინციპების განხორციელების შესაფასებლად. კვლევის ფარგლებში მისი ავტორი, ხელოვნური ინტელექტის მმართველობის გლობალური ცენტრი (Global Center on AI Governance), 138 ქვეყნის შესაფასებლად 16 რეგიონულ ჰაბთან, მათ შორის, IDFI-სთან თანამშრომლობდა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაზე (12 ქვეყანა) იყო პასუხისმგებელი.

GIRAI კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით სამთავრობო დოკუმენტები საკმაოდ მწირია და არ არსებობს ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტი ამ მიმართულებით.

ინოვაციების გლობალური ინდექსი

ინოვაციების გლობალური ინდექსი (GII) 132-მდე ქვეყანას აფასებს ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით. GII მიზნად ისახავს ინოვაციურობის ყოვლისმომცველ ანალიზს ინოვაციური დანახარჯების (inputs) და პროდუქტების (outputs) გათვალისწინებით. შეფასება ეყრდნობა 80-მდე ინდიკატორს 7 თემატური კატეგორიის გარშემო. IDFI-მ მოამზადა GII-ს 2023 წლის შედეგების მიმოხილვა, რომლის მიხედვითაც საქართველოს რეიტინგი 2022 წელთან შედარებით 9 პოზიციით გაუმჯობესდა. თუმცა, მიუხედავად საგრძნობი პოზიციური წინსვლისა, ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულა მიიღო (29.9) და ამ შეფასებით მხოლოდ 2022 წლის რეკორდულად დაბალ შედეგს (27.9) უსწრებდა.

გაეროს ელექტრონული მმართველობის და ელექტრონული ჩართულობის ინდექსები

გაეროს 2024 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევის მიმოხილვაში აღნიშნულია საქართველოს მიერ მიღებული შეფასებები ელექტრონული მმართველობის და ელექტრონული ჩართულობის ინდექსებში. **ელ-მმართველობის ინდექსის რეიტინგში ქვეყნის პოზიცია ცხრა ადგილით დაქვეითდა, ელ-ჩართულობის მხრივ კი — ხუთი პოზიციით**. გლობალური ტენდენციებისა და რეგიონის ქვეყნების შედარებით ჩანდა, რომ საქართველო ამ მიმართულებით ნელი ტემპით ვითარდებოდა, განსაკუთრებით ონლაინ სერვისების მიწოდების კუთხით.

2024 წლის შეფასების მიხედვით, საქართველოს ელ-მმართველობის მაჩვენებელი იყო 0.78, რითიც საქართველოს 193 ქვეყანას შორის 69-ე ადგილი ეკავა. ელ-ჩართულობის მხრივ ქვეყანამ შეფასება 0.03 ერთეულით გაიუმჯობესა, თუმცა რეიტინგში პოზიცია 5 ადგილით გაუარესდა. კერძოდ, 2022 წელს საქართველოს 0.53 ქულა და 72-ე ადგილი ჰქონდა. 2024 წლის მონაცემებით, მაჩვენებელი 0.56-მდე იყო გაზრდილი, ხოლო გლობალურ რეიტინგში ქვეყნის პოზიცია 72-დან 77 ადგილამდე დაიწია.

ტრენინგები და სამუშაო შეხვედრა ციფრული უსაფრთხოებაზე

2024 წლის 14 ივნისს IDFI-მ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამართა ტრენინგი „ციფრული უსაფრთხოება და წიგნიერება“, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა მიიღეს რჩევები, როგორ დაიცვან საკუთარი ონლაინ ანგარიშებისა (ელ-ფოსტა, სოციალური ქსელები) და მოწყობილობების (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი და ა.შ.) უსაფრთხოება, რა პრევენციული ზომები უნდა მიიღონ, რომ არ გახდნენ სხვადასხვა ონლაინ თაღლითობისა და თავდასხმის ობიექტები, როგორ დაიცვან პირადი მონაცემები, კომუნიკაციის რა საშუალებები გამოიყენონ უსაფრთხოებისთვის.

IDFI-მ დამატებით სამი ონლაინ ტრენინგი „ციფრული უფლებები და ციფრული უსაფრთხოება“ გამართა 2024 წლის 26, 27 და 28 ივნისს. ტრენინგები სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და აქტიური მოქალაქეებისთვის გაიმართა. დამატებით, IDFI-მ გამოაქვეყნა ბროშურა ციფრული უსაფრთხოების მთავარი წესების შესახებ.

2024 წლის 21 ივნისს, IDFI-მ რეგიონული სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით გამართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა ქვეყანაში არსებული ციფრული საფრთხეებისა და ციფრული უფლებების დაცვის საკითხებზე.

ვებ გვერდების დაბლოკვის პრაქტიკის კვლევა

IDFI-მ კვლავ გამოიკვლია ვებგვერდების დაბლოკვის პრაქტიკა საქართველოში. 2022 წელს გამოქვეყნდა პირველი კვლევა, რომელიც მიმოიხილავდა საქართველოში ვებგვერდების დაბლოკვის სამართლებრივ მოდელს, მის მარეგულირებელ ნორმატიულ საფუძვლებსა და პრაქტიკაში აღსრულების თავისებურებებს. 2024 წლის კვლევაში IDFI-მ შეისწავლა, თუ როგორია ინტერნეტ გვერდზე წვდომის შეზღუდვის სტატისტიკა და ტენდენციები, ასევე, ვლინდება თუ არა ცვლილებები ამ პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის კუთხით.

კვლევის წინა პერიოდთან შედარებით, რომელიც მოიცავდა 2017 წლიდან 2022 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს, კვლევის მომზადების პერიოდში, ორ წელიწადზე ნაკლებ დროში (2022 წლის 1-ელი ოქტომბრიდან 2024 წლის 16 მაისამდე), თითქმის გაორმაგდა ვებგვერდების რაოდენობა, რომელთა დაბლოკვასაც მოითხოვეს. IDFI-მ აღნიშნა ვებგვერდების დაბლოკვის მოთხოვნების ფონზე გამჭვირვალობის შესაბამისი მექანიზმების არსებობის მნიშვნელობა და მიუთითა, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს ერთიანი საჯარო რეესტრი, სადაც შესაძლებელი იქნება ვებგვერდებზე წვდომის შეზღუდვების პერიოდის, საფუძვლისა და ინიციატორის დეტალების ნახვა/შემოწმება.

ინტერნეტის თავისუფლების ხარისხი საქართველოში

IDFI-მ მიმოიხილა Freedom House-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში 2024 წლის მდგომარეობით ინტერნეტის თავისუფლების შესახებ, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო

მასშტაბით ინტერნეტის თავისუფლება უკვე მე-14 წელია მცირდება, რადგან სიტუაცია გაუარესდა 27 ქვეყანაში. ანგარიშის თანახმად, **2023 წელთან შედარებით, ინტერნეტის თავისუფლება საქართველოშიც შემცირდა ორი ქულით, თუმცა ქვეყანა ინარჩუნებს თავისუფალ სტატუსს**. 2024 წელს საქართველომ 100-დან 74 ქულა მოიპოვა. სტატიაში განხილულია საქართველოს მიერ მოპოვებული ქულის დასაბუთება, არსებული გამოწვევები და გლობალური ტენდენციები ამ მიმართულებით.

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულება აქტიურად მუშაობდა საბჭოთა წარსულისა და მისი მემკვიდრეობის კვლევის კუთხით, საარქივო ღიაობის გაუმჯობესებასა და თანამედროვე დეზინფორმაციული კამპანიების ანალიზზე. მიმართულება სწავლობს და ავრცელებს ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ისტორიებს, ახორციელებს მეხსიერების პოლიტიკის ადვოკატირებას, უკვდავყოფის კამპანიებს და პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც ქვეყნისა და რეგიონის წინაშე ეტაპობრივად დგება. ორგანიზაცია რეგულარულად აქვეყნებს კვლევით სტატიებს საბჭოთა წარსულის, კოლექტიური მეხსიერებისა და რუსული დეზინფორმაციის შესახებ.

არქივების ღიაობა

2024 წელს საქართველოს სახელმწიფო არქივების ხელმისაწვდომობა, წინა წლებთან შედარებით, გაუარესდა. რამდენიმე აქტივობა, რომელიც პირდაპირ იყო დამოკიდებული საარქივო კვლევაზე, შეჩერდა, რადგან სახელმწიფო არქივებმა უარი თქვეს მკვლევრების მიღებაზე ან არაგონივრული მიზეზი დაასახელეს დოკუმენტების მიწოდებაზე.

27-28 სექტემბერს IDFI-მ, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების არქივისა (NSA) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით, მე-5 საერთაშორისო კონფერენცია: „სახელმწიფო არქივების ხელმისაწვდომობა პოსტსაბჭოთა სივრცეში" <u>გამართა</u>. კონფერენციის ფარგლებში ქართველმა და საერთაშორისო ექსპერტებმა განიხილეს არქივების ხელმისაწვდომობის საკითხები, მეხსიერების პოლიტიკა, არქივების მომავალი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და აღნიშნულ თემებთან დაკავშირებულ გამოწვევათა გადაჭრის გზები.

მეხსიერების კვლევები

2024 წლის 6 თებერვალს IDFI-მ ესეების კონკურსის „დეზინფორმაციის როლი ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბებაში" გამარჯვებულები დააჯილდოვა. ესეების კონკურსის ფარგლებში, სულ შემოვიდა 70-მდე საკონკურსო ნაშრომი, რომელთა შორისაც კომისიამ საპრიზო ადგილებისთვის შეარჩია და გამოაქვეყნა სამი კონკურსანტის ესე. მათი ნაშრომები გამოქვეყნდა IDFI-ის ვებგვერდზე (1,2,3). კონკურსის მიზანი სტუდენტებში მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების წახალისება, პოპულარიზაცია და საზოგადოებაში წარსულისა და თანამედროვე მოვლენების შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო.

2024 წლის 23 თებერვალს, IDFI-მ საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის N8 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უმასპინძლა. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „საბჭოთა ოკუპაცია და მისი შედეგები საქართველოს მეხსიერებაში" და „რადიო თავისუფლების" ფილმის „დახვრეტილთა სასაფლაოს" ჩვენება.

2024 წლის თებერვალში IDFI-მ გამოაქვეყნა მომხსენებლების მიერ წარმოდგენილი მოკლე თეზისების კრებული, სადაც უფრო დეტალური ინფორმაცია იყო 2023 წლის 5-6 ოქტომბერს ბათუმში გამართული საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომელიც იულიუშ მიეროშევსკის დიალოგის ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

2024 წლის 20-22 მარტს, ქალაქ გორის მე-3 და მე-9 საჯარო სკოლებში IDFI-მ გამართა ვებგვერდის www.gorimaps.ge პრეზენტაცია, რომელიც შეიქმნა პროექტის „აღმოაჩინე გორი" ფარგლებში. შეხვედრებს ესწრებოდა 100-მდე მოსწავლე და მასწავლებელი.

2024 წლის 9 აპრილს, 9 აპრილის ბაღში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „აპრილის გამოძახილი", რომელიც მიეძღვნა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. ღონისძიებას ესწრებოდნენ ეროვნული მოძრაობისა და 9

აპრილის აქციის მონაწილეები, ასევე ცნობილი სახეები, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები. დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.



2024 წელს გაუმჯობესდა სტალინური სიების მონაცემთა ბაზა, დაკორექტირდა ტექსტები და შეივსო დამატებითი ინფორმაციით, მათ შორის დოკუმენტებითა და ფოტოებით. მოძიებულ იქნა და მონაცემთა ბაზაში აიტვირთა რეპრესირებულებთან დაკავშირებული 100-მდე ფოტო და საარქივო მასალა. გარდა ამისა, განახლდა ვებგვერდ www.historyproject.ge-ს დიზაინი.

2024 წელს, პორტალზე www.memoryofnations.eu აიტვირთა IDFI-ის მიერ მომზადებული რეპრესიების მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრების მონაწილეობით გადაღებული 10 ვიდეო, რომელიც ათასობით სხვა ინტერვიუსთან ერთად იყო ხელმისაწვდომი.

2024 წლის 26 აპრილს IDFI-ის მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი, ანტონ ვაჭარაძე ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიწვევით ბათუმში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. გამართული სხდომაზე ანტონ ვაჭარაძემ 2023 წლის 11-16 დეკემბერს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის წარმომადგენლებთან ერთად პოლონეთში სასწავლო ვიზიტის შედეგები წარადგინა, რომლის ფარგლებშიც პოლონეთში კომუნისტური და ნაცისტური რეჟიმების მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ საუკეთესო პრაქტიკებსა და რეკომენდაციებს გაეცნენ.

2024 წლის 11 მაისს IDFI-მ მონაწილეობა მიიღო ევროპის დღის ღონისძიებაში. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ საინტერესო და შემეცნებით ქვიზებში, რომელიც ეხებოდა ციფრულ წიგნიერებას, საქართველოს ევროპულ წარსულს და საქართველოს ბიუროკრატიული სისტემის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობას. ევროკავშირის ელჩი საქართველოში, პაველ ჰერჩინსკი ეწვია IDFI-ის სტენდს და გამოხატა მხარდაჭერა ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის მიმართ.

2024 წელს IDFI-მ 3 ინტერვიუ ჩაწერა: ელმირა ნოგოიბაევასთან, ყირგიზეთში დაფუძნებული კვლევითი და სადისკუსიო ცენტრის, Esimde-ს დამფუძნებელთან და დირექტორთან; შეფილდის უნივერსიტეტის პროფესორთან, ილია იაბლოკოვთან და ალისია ვანცეჟ–გლუზასთან, ერთ-ერთი უძველესი პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციის, Fundacja Ośrodka KARTA-ს (KARTA Center Foundation) თანადამფუძნებელთან, მასწავლებელთა მოძრაობა „სოლიდარობის“ აქტივისტთან. ინტერვიუები ეხებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, მის ისტორიასა და სამომავლო პერსპექტივებს.

2024 წლის 12 ივნისს, პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში გაიმართა IDFI-ის პარტნიორი ორგანიზაციის, მიეროშევსკის ცენტრის მიერ გადაღებული ფილმის Najgruzińszy/a („ყველაზე ქართველი”) პრემიერა და დისკუსია.

IDFI-მ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (Civil Society Forum e.V.) მიერ დაფინანსებული პროექტის „ისტორიის სწავლება ომის პირობებში” ფარგლებში, პედაგოგიური გზამკვლევის ქართულ თარგმანზე იმუშავა. გზამკვლევი შექმნილია პროგრამა Confronting Memories-ის მიერ და ეხება პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ კონფლიქტებს - როგორ არის შესაძლებელი სენსიტიური ისტორიის სწავლება.

2024 წლის 17-21 ივლისს, სომხეთში, ქალაქ დილიჟანში საზაფხულო სკოლა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა საქართველოდან, სომხეთიდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან. ღონისძიების თემატიკა ეხებოდა წინააღმდეგობრივ მეხსიერებასა და მის სწავლებას სკოლებში. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (Civil Society Forum e.V.) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, IDFI-მ ღია კონკურსის გზით შეარჩია 7 სკოლის მასწავლებელი, თბილისიდან და რეგიონებიდან.

2024 წლის 14 აგვისტოს, IDFI-ის წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა მოქალაქეებმა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის, გაბრიელ (გაბო) ცისკარიშვილის (1892-1924) მემორიალური დაფა განათავსეს. გარდა ამისა, ქალაქ ახმეტაში IDFI-მ საინფორმაციო ბანერი განათავსა, რომელზეც 1924 წლის აჯანყების გმირები არიან გამოსახული.

2024 წლის 2 ოქტომბერს IDFI-მ რეპრესირებული „ლიზიკო აბზიანიძის მოგონებების" პრეზენტაცია გამართა. მოგონებები „დიდი ტერორის" შესახებ მნიშვნელოვანი მემუარული ტიპის ნაშრომია. ავტორი აღწერს თავისი ცხოვრების ტრავმულ პერიოდს - 1937-1938 წლების რეპრესიებს, რომელიც მას და მის მეუღლეს შეეხოთ. „ლიზიკო აბზიანიძის მოგონებები" IDFI-მ შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და რეპრესირებული ელისაბედ (ლიზიკო) აბზიანიძის შვილთაშვილთან, ნინო ისაკაძესთან თანამშრომლობის ფარგლებში გამოსცა.

2024 წლის 18 ნოემბერს ჩეხეთში, ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა პალატის სპიკერის მარკეტა პეკაროვა ადამოვას, უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის პაველ ჟაჩეკის ეგიდითა და პრაღის უკრაინის ინსტიტუტის

თანამშრომლობით, საერთაშორისო კონფერენცია „საბჭოთა და რუსული დივერსია ევროპის წინააღმდეგ" გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობდა ანტონ ვაჭარაძე, რომელმაც პანელის „საბჭოთა დივერსია: ისტორიული პერსპექტივა" ფარგლებში ისაუბრა.

2024 წლის განმავლობაში IDFI-მ არაერთი ღონისძიება და სოციალური აქტივობა მიუძღვნა მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მნიშვნელოვან თარიღს, რაც საზოგადოებას ეხმარება წარსულის გააზრებასა და მომავლის გზის არჩევაში: საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის დღე; 9 აპრილი; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; უკრაინის დამოუკიდებლობის დღე; საქართველოს კონსტიტუციის დღე, 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავი; ქართველი დისიდენტებისა და პირველი რესპუბლიკის პოლიტიკოსების ციტატები; 1937-1938 წლებში რეპრესირებულთა ისტორიები; სხვადასხვა დროს, ისტორიულად მნიშვნელოვან თარიღებში შექმნილი კონტენტი (ვიდეოების, ვიზუალური მასალების და ა.შ.) და ა.შ.

IDFI-ის ვებგვერდებზე გამოქვეყნდა 15 სტატია საბჭოთა, მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების შესახებ:

1. რუსეთის გადაჭარბებული გავლენა დასავლელ მეცნიერებსა და მეცნიერებაზე;
2. Sockpuppet-ები და ვიკიპედია - ბრძოლის უცნობი ფრონტი;
3. სერგო ფარაჯანოვის რეაბილიტაცია;
4. პუტინის მიერ საქართველოს ისტორიის რევიზიონიზმი 2008 წლის ომის შემდეგ;
5. გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა: მედვედევის ტყის ხოცვა-ჟლეტა;
6. განსხვავებული 1992 წლის 9 აპრილი;
7. 1924 წლის აჯანყება - კალენდარი;
8. 1924 წლის საერთო-სახალხო აჯანყების საწინააღმდეგო პროპაგანდა - ვანო ალიხანაშვილის მოხსენებები;
9. როგორ ებრძოდა საბჭოთა კავშირი 1924 წლის საერთო-სახალხო აჯანყებასა და მის მონაწილეებს — აჭარის მაგალითი;

10. ესტონური გამოცდილება: პირველი რესპუბლიკა და საბჭოთა წყობილების დამყარება ქვეყანაში;

11. ტრაგედიით მანიპულირება, როგორც შიდა პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი;

12. სპორტი და პოლიტიკა;

13. საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები - კრემლის რეაქცია;

14. შერიგების ილუზია: რუსეთის სტრატეგიული ხაფანგი აფხაზეთში;

15. დამარცხების ფასი: ბელარუსის 2020 წლის პროტესტის გაკვეთილები.

დეზინფორმაციის კვლევები

2024 წლის მაისში, IDFI-მ ჩაატარა კვლევა რუსეთ-საქართველოს საქმიანი საბჭოს მონაწილეთა ბიზნეს კავშირების შესახებ. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს რუსეთის მავნე გავლენას მეზობელ ქვეყნებში და ავლენს რეგიონის მნიშვნელოვან გამოწვევებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

2024 წლის 20 მაისს IDFI-სა და Northwestern University-ს ერთობლივი ონლაინ ღონისძიება „ფართომასშტაბიანი აქციები სომხეთსა და საქართველოში: რა ხდება?" გაიმართა. ღონისძიების მთავარ საკითხს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები. შეხვედრას მოდერაციას უწევდა საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი, იან კელი.

2024 წლის 29 მაისს, IDFI-სა და GFSIS-ს ორგანიზებით, ქალაქ გორში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოში შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მისი აღმატებულება ანა ლიბერგი და შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის გენერალური დირექტორი, ჰელენ ედუარდსი. შეხვედრაზე, რომელიც გორელ ფოტოგრაფთა კლუბში გაიმართა, მოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და აქტივისტები. შეხვედრაზე მონაწილეებმა ისაუბრეს ისტორიისა და ადგილობრივი დემოკრატიის საკითხებზე და გამოთქვეს მოსაზრებები ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საპასუხოდ, ორგანიზაციამ გამოაქვეყნა შემდეგი სტატიები: რუსეთის სპეცსამსახურების აქტიური ღონისძიება - ალექსანდრე მალკევიჩი საქართველოში; პატრიკ ლანკასტერი - კრემლის მორიგი პროპაგანდისტი საქართველოში; კრემლის სპეციალური საინფორმაციო ოპერაცია საქართველოში გრძელდება.

IDFI თანამშრომლობდა აზერბაიჯანელ და სომეხ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. სტატიები დაიწერა დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეთნიკურ უმცირესობებში ზუსტი ინფორმაციის გავრცელებისა და არსებული სიტუაციის განხილვის მიზნით. მათ შორისაა დოკუმენტი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის შესახებ:

1. რუსული კანონის საწინააღმდეგო, 2024 წლის აპრილ-მაისის აქციების გაშუქება სომხურ და აზერბაიჯანულ მედიებში;
2. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის შეფასება;
3. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობა და მათი ელექტორალური ქცევა;
4. ქართველი ემიგრანტების საარჩევნო უფლების რეალიზების კუთხით არსებული გამოწვევები და მათი ელექტორალური ქცევა;
5. როგორ აშუქებდა აზერბაიჯანული, სომხური და თურქული მედია საქართველოს არჩევნებს.

კონსულტაციები

კონსულტაციები

- გაიცა, დაახლოებით, 45 სამართლებრივი კონსულტაცია ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით.
- „რუსული კანონის" წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 100-ზე მეტი სამოქალაქო საზოგადოების და მედია ორგანიზაციის წარმომადგენელს.
- 10-ზე მეტ ჟურნალისტსა და 15 სტუდენტს გაეწია კონსულტაცია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მონაცემების ანალიზის საკითხებზე, ელ-ფოსტითა და სატელეფონო კომუნიკაციით.
- IDFI-მ განახორციელა დაახლოებით 100-მდე კონსულტაცია მეხსიერების, დეზინფორმაციისა და საბჭოთა კვლევების მიმართულებით. საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს IDFI დაეხმარა რეკომენდაციებით და საარქივო დოკუმენტების მოძიებით. კონსულტაციები ჩატარდა პირადად (20-მდე კონსულტაცია), ონლაინ (ფეისბუქ მესენჯერი, ელ. ფოსტა, Zoom და ა.შ. – სულ 70-მდე კონსულტაცია) და სატელეფონო ზარის საშუალებით (10-მდე კონსულტაცია).

IDFI-ის დონორი ორგანიზაციები

IDFI-ის დონორი ორგანიზაციები

- შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო
- DAI Global, LLC / USAID საჯარო მმართველობის პროგრამა
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
- ევროკავშირი
- ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი
- კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- Deloitte Consulting LLP / USAID
- ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი / ევროკავშირი
- იულიუშ მიეროშევსკის დიალოგის ცენტრი
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) / USAID
- Research ICT Africa / African Observatory on Responsible AI NPC
- ინტერნიუსი / USAID
- ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი/Post Bellum
- სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი
- სამოქალაქო ინოვაციების ფონდი
- ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების არქივი

2024 წელს
დაწყებული პროექტები

2024 წელს დაწყებული პროექტები

- **<u>სასამართლო რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ხელშეწყობა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მრავალმხრივი ქმედებით ფასილიტაცია</u>**

დონორი ორგანიზაცია: ევროკავშირი (ევროკომისია, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში)

პარტნიორი ორგანიზაციები: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სტუდია მონიტორი

პროექტის მიზანი: სასამართლო სისტემის ხელმისაწვდომობის, დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა, მათ შორის, სასამართლო რეფორმების ჩათვლით.

- **<u>ფარულ მიყურადებაზე გარე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და ეფექტიანობის შეფასება</u>**

დონორი ორგანიზაცია: გრანტი გაიცა ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტის მიერ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „უფლებების დაცვის მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში

პროექტის მიზანი: ფარულ მიყურადებაზე გარე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების (საერთო სასამართლოები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, პროკურატურა, საქართველოს პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლო) ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და ეფექტიანობის შეფასება, 2021-2023 წლებში, მათი მანდატის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის შედეგად.

- **<u>საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო ხმის უფლების დაცვა</u>**

დონორი ორგანიზაცია: ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

პროექტის მიზანი: საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მხარდაჭერა.

- **<u>საერთო ისტორია, საერთო მომავალი</u>**

დონორი ორგანიზაცია: სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (Civil Society Forum e.V.)

პროექტის მიზანი: პროგრამა Confronting Memories-ის ფარგლებში შექმნილი პედაგოგიური გზამკვლევის გამოყენება სასწავლო მასალებსა და გაკვეთილებში, მასალების მიხედვით გაკვეთილების გამართვა როგორც საკუთარ კლასში, ასევე მასალის გაცნობის ფასილიტაცია კოლეგებს შორის.

- **<u>მე-5 საერთაშორისო კონფერენციის - „სახელმწიფო არქივების ხელმისაწვდომობა პოსტსაბჭოთა სივრცეში" - ორგანიზება</u>**

დონორი ორგანიზაცია: ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების არქივი / The National Security Archive (NSA) at the George Washington University

პროექტის მიზანი: პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფო არქივებზე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ერთობლივი, რიგით მე-5 საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება.

- **<u>ციფრული თხრობა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის</u>**

დონორი ორგანიზაცია: სამოქალაქო ინოვაციების ფონდი
წამყვანი ორგანიზაცია: ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის (YSU) ინოვაციური სოციალური კვლევის ცენტრი

პროექტის მიზანი: ისტორიულად კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ საზოგადოებებს შორის შერიგების ხელშეწყობა პირადი ისტორიების შეგროვებითა და გაზიარებით.

- **<u>მოქალაქეთა ჩართულობის ციფრული საშუალებების შეფასება</u>**

დონორი ორგანიზაცია: DAI Global, LLC / USAID საჯარო მმართველობის პროგრამა

პროექტის მიზანი: პროექტი მიზნად ისახავს, გაზარდოს ციფრული ინსტრუმენტების ეფექტურობა და გამოყენება მოქალაქეთა ჩართულობისთვის.

- **<u>CSO Meter: ქმედება უკეთესი გარემოსთვის</u>**

დონორი ორგანიზაცია: ევროკავშირი (EU); სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

პროექტის მიზანი: პროექტის ფარგლებში დაფუძნებული რეგიონალური ჰაბის წევრობა და კომპეტენციის ფარგლებში CSO Meter-ის ყოველწლიური ანგარიშის განახლება.

- **ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორინგისთვის საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები**

დონორი ორგანიზაცია: DAI Global, LLC / USAID საჯარო მმართველობის პროგრამა

პროექტის მიზანი: პროექტი ითვალისწინებს მონაწილეების შესაძლებლობების განვითარებას, პრაქტიკული გამოცდილების/საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებას და მათთვის ფართო შესაძლებლობების მიცემას, რათა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზისა და რეკომენდაციების მომზადება და კომუნიკაცია შეძლონ.

2024 წლის
ფინანსური ანგარიში

2024 წლის ფინანსური ანგარიში

შემოსავალი გრანტებიდან

1,883,124 ₾

სხვა საოპერაციო შემოსავალი

268,585₾

სულ შემოსავალი

2,151,709 ₾

ხელფასები	558,624
მომსახურების ანაზღაურება	542,208
კონსულტაცია და სხვა პროფესიული ხარჯები (თარჯიმნის, საკონსულტაციო მომსახურების, ექსპერტების ჰონორარი)	423,514
სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი თანხა (საშემოსავლო გადასახადი)	388,101
საპენსიო შენატანი	73,623
ღონისძიებები (კონფერენციები, პრეზენტაციები, სემინარები, ტრენინგები)	133,840
ცვეთა და ამორტიზაცია	92,003
რეკლამა და პიარი (დიზაინი, ვიდეო, ბეჭდვა, გამოცემა, ჯილდოები, მარკეტინგი)	67,145
ფინანსური, საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურება	28,493
თანამშრომლების დაზღვევა	25,692
ვებ-გვერდის განვითარების ხარჯები	20,122
ანარიცხები	19,621
მოგზაურობა (საერთაშორისო მივლინება, დღიური ნორმა)	18,540
კომუნიკაციის ხარჯი	17,737
სხვა საოფისე ხარჯები და ინვენტარი	14,049
საპროცენტო ხარჯი	12,433
კომუნალური ხარჯი	12,138
ტრანსპორტირება (ადგილობრივი მივლინება, საწვავი, სასტუმრო)	10,042
საბანკო ხარჯები	4,657
წარმომადგენლობითი ხარჯები	4,008
საფოსტო ხარჯები	2,267
სატრანსპორტო საშუალების ტექმომსახურება და დაზღვევა	1,650
საკანცელარიო ხარჯები	1,436
სხვა ხარჯები	18,185
სულ საოპერაციო ხარჯები	**2,490,128₾**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ც. შევჩენკოს ქუჩა 20, 0108, თბილისი, საქართველო

+ 995 32 292 15 14

INFO@IDFI.GE

WWW.IDFI.GE